



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი გამომდის ყოველ კვირა დღეს.
№ 8 თ ბ ე რ ვ ა ლ ი 21 1989 წ. № 8

შინაარსი: თფილისის თვით-მმართველობა ნ. ყორდანიასი.—სხვა და-სხვა ამბები — ჟვალის კორესპონდენციები.—
კვირიდან კვირამდე.—პოეზი, ლექსი გ. გოგოლაძისა.—წერილი ქეთისიდან ღ—ისა.—19 თებერვალი—ზ—ისა.—პირიმზე,
რომანი (შემდეგი) გ. წერეთლისა.—შენიშვნა ნ. ყ—სა.—ჯვალის ფოსტა და განიხადებები.

რედაქციის ადრესი: არტილოერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

თფილისის თვით-მმართველობა.

X II.

რას წარმოადგენს თფილისის საარჩევნო კითხვა? ვინ ირჩევს და ვის ირჩევენ აქ? რას აბარებენ ამრჩეველთ და რას იბარებენ არჩეულნი? რას ელტვიან პირველნი და ვის ინტერესს იცავენ მყოფნი?

ყველა ამის გასაგებათ საჭიროა ვიცოდეთ, თფილისის მცხოვრებთა შემადგენელი ნაწილები. ესენი შეიცავენ ოთხნაირ ხალხს: პატრონი დიდი შეძლევის, საშუალო შეძლების, წერილი მესაკუთრენი და მუშა ხალხი. საქალაქო დებულების ძალით, არჩევნის უფლება აქვს მხოლოდ პირველ ორ ნაწილს. ეს რომ ციფრებზე გადავიტანოთ გამოვა შემდეგი: ამჟამათ თფილისის მეკენქეთა რიცხვია 2854. ესენი რომ ყველა ოჯახში წარმომადგენელთ ვიანგარიშოთ და თითო ოჯახში ოთხი სული ჩავთვალოთ მივიღებთ 11,416 მცხოვრებს, რომელთა ინტერესი კანონით წარმოდგენილ უნდა იყოს საბჭოში. ხოლო თფილისის მცხოვრებთა რიცხვს შეადგენს ას-სამოცი ათასი სული. მაშასადამე დანარჩენი 148,584 ადამიანი მოკლებულია ყოველსავე წარმომადგენლობას და

მფარველობას საბჭოში. ცხადია, ეს თერთმეტი ათასი მდიდარი პატრონობს დანარჩენ მოქალაქეებს და ბატონობს ქალაქში. საარჩევნო უფლება იმათ ხელშია და თუ რაიმე ბრძოლა შეიძლება ატყდეს—ეს ისევ ამ მდიდრებთა შორის. ამხრით, ყველა ეს მეკენქე წარმომადგენს ერთ კლასს, რომლის ნიეთიერი ინტერესი პირდაპირ ეწინააღმდეგება ყველა დანარჩენთა ნიეთიერ ინტერესს. თუმცა, როგორც პირველი, ისე უკანასკნელი სხვა და-სხვა ელემენტები. საგან შედგება, მარა როგორც კი მათ შორის ბრძოლა იმართვის, ეს სხვა და-სხვაობა უკან დგება და შეერთებული ძალ-ღონით ერთი მეორეზე იერიშით მიდიან. ეს ასეა ცხოვრებაში. საარჩევნო ასპარეზზე კი მხოლოდ ერთი მხარე დგას, მეორეს—დიდ უმრავლესობას—იქ გასვლის ნება არა აქვს და მათ შორისაც საარჩევნო შეტაკება ვერ მოხდება. ამიტომ ამ ამრჩეველთ მეტი გასაქანი ეძლევათ და აქეთ იქით მიიწევი-მოიწევიან. ისინი თანახმათ თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობისა, ნაწილდებიან ორათ: მაღალი და საშუალო ბურჟუაზია. მაშასადამე კლასთა წინააღმდეგობა აქაც წარმოებს და პარტიობაც შეიძლება მის გარშემო დატრიალდეს. მეორე მხრით,

მეკენჭეები იყოფიან არა მარტო შეძლების დავებრათ, არამედ ეროვნულათაც; ზოგი სომეხია, ზოგი ქართველი, ზოგი რუსი და ასე ბოლომდის. კლასთა განსხვავებას ზედ-ერთის ერთა განსხვავებაც. მალალი ბურჟუაზიის უმრავლესობას შეადგენს სომხობა, საშუალოსას ქართველობა. ერთა განსხვავებას სარჩულთ უდევს ქონებით განსხვავება. უფრო მდიდარი სომეხია, უფრო ღარიბი ქართველი. პირველი კახანია გამდიდრების ასპარეზზე მოღვაწეობს, ის აქამდის მარტო იყო, მეტოქე არ ჰყავდა და თვითისის ხალხს როგორც სურდა ისე წველიდა. ახლა კი იმავე ასპარეზზე ქართველიც გამოვიდა და ამ საერთო ულუფას ნაწილი მოითხოვა. მოხედნ ისინი ერთმანეთს და ორივე მხრიდან ატყდა ყვირილი: გვიშველეთ, სამშობლო იღუპებაო. სომეხი სომეხს მიემხრო, ქართველი ქართველს და გაიმართა დაუსრულებელი აურ ზაური. და ასე ამ ორი ერის ბურჟუაზია ერთმანეთს დაეტაკა და ამ დატაკებამ ნაციონალური სახე მიიღო. თვითოველი მათგანი თავის ერის მებაირადეთ გამოვიდა. აქედან ცხადია, რომ ამ ბრძოლის მიზეზი კლასთა შეტაკებაა; ქართველმა ერმა წამოაყენა ახალი კლასი და დაუპირდაპირა სომეხებს უკვე არსებულ და გამძლავრებულ კლასს. აი, მათი ინტერესის წინააღმდეგობა, წინააღმდეგობა იმის გამო, თუ რომელი უნდა ბატონობდეს, დედლა საფუძვლათ ქართველ-სომეხებს განხეთქილებას. ერთი სიტყვით, კლასთა აღორძინებამ და ბრძოლამ თავის თავათ დაბადა ერთა აღორძინება და ბრძოლა. და ეს ასეა, არა მარტო ჩვენში, არამედ ყველგან, მთელ განათლებულ ქვეყნებში. ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის და სხვა ერთა აღებ-მიცემის ხალხი ერთმანეთს დაუცბრომლათ ებრძვიან მსოფლიო ბაზარზე უფროსობისათვის. აი, ამ ბრძოლაზეა აშენებული თანამედროვე სახელმწიფოთა ნაციონალური პოლიტიკა. განსხვავება იმაშია, რომ ჩვენ და ჩვენ ადგილობრივ მეტოქეთ (სომეხებს) საკუთარი პოლიტიკა არა გვაქვს და ამით ბრძოლის პირობებიც ერთნაირია.

ასე თუ ისე, თვითისის საარჩევნო ბორბალს ატრიალებენ ის კლასები, რომლებიც აქ გამოქვიშულან და ერთმანეთს ებრძვიან 1). 2854 მეკენჭეთა

შორის ქართველია 430-მდის. ამათში ძლიეს 30 იქნება დიდი შეძლების პატრონი. დანარჩენი სულ გუშინდელი ვიგინდარება და ჯერ კიდევ მალალ ფარდებში შესვლა ვერ მოუხსრია. ესენი ძალა-უნებურათ ერთ ბანაკს უნდა შეადგენდნ. მეორე ბანაკშია ორიათასამდე სომხობა, რომლის 4/5 სხელი ბურჟუაზიაა და მამასადამე ქართველ ვიგინდარათა ბუნებრივი მოწინააღმდეგეა. დანარჩენი ერთი მეხუთედლი უფრო წვრილებია და არჩევნებში უფრო ქართველებს უნდა უახლოვდებოდნ, ვინემ თავის მოძმე სომეხებს. მარა ძალა მათ ხელში არ არის და არც ბრძოლის გადაწყვეტა შეუძლიათ. ამისათვის ეს ჯგუფი იძულებულია ისევე ძლიერთ ეფეროს, ელაქუცოს, კეშირიც იქონიოს; სუსტებთანაც „პროგრესიული“ მოლაპარაკება გამართოს და მით თავისი წარმომადგენელნიც გაათეთრებოს. აი, ეს ხალხი ყველაზე უფრო ორპირი, უიმედო და პირმოთენა. მას ყველასი ემანია, ყველას ვალერსება და ყველას ერთნაირათ აჯაგრებს. აი, ამ პოლიტიკის ნამდვილი განხორციელებაა საბჭოს დღევანდელი „ოპოზიცია“. ამის სახელია „არც იქით, არც აქეთ“.

ამ გვართ თვითისის საბჭო ერთიანათ პლუტოკრატიების ხელშია; ის მხოლოთ ამათ პოლიტიკას აწარმოებს, ამათ ინტერესს ემსახურება. ქალაქის მათი ხელიდან გამოხსნა—ეს მთელი თვითისის, მთელი 149 ათასი მოქალაქის ინტერესია. ვინ უნდა იტვირთოს ეს განმათავისუფლებელი მოძრაობა? რასაკვირველია იმან, ვინც დაჩაგრულია და ეს დაჩაგრული დღეს ქართველობაა. მამასადამე ქართველი მეკენჭე - საბჭოს ბუნებრივი ოპოზიციაა. ყველა ოპოზიცია შესანიშნავია თავისი მხნეობით, სიმარჯვით, სიტყვიტით და საქმიანობით. ქართველი ოპოზიცია კი სწორეთ ამ თვისებებს მოკლებულია. ასე გაშინჯეთ, უკანასკნელ არჩევანზე მან თავისი მომხრეთა ნახევარიც ვერ მოიყვანა საარჩევნო დარბაზში (სულ იყო 203 ქართველი ხმა). და განა რომელსამე პარტიას რაიმე კანონი, რაიმე გარემე ძალა გამოაცოცხლებს და ფეხზე დააყენებს? პირ იქით, მას რაც მეტს დაეხმარები, მით უფრო დაიძინებს. ბ. ნიკოლაძის პარტიას არჩევნების დროს უძინია და ახლა ცას და ქვეყანას შეტირის რატამ არ აგვირჩიესო. ყველა მოწინააღმდეგე პარტია რომ შეერთებულყო და ყველა თავისი მომხრე ყუთებთან მოეყვანა—დღეს საბჭოში პლუტოკრატია აღარ იქნებოდა გაბატონებული და თვითისიც მისი უფროსობიდან დაიხსნებო-

აღრ „ივერთას“ გაუჭინდება, მას უჭინს მსოფლოდ ცოცხალ დაბლას დასქდა, მოკლეხის მიხეცხის გამოტყუება და სხსნა. და ამში ნუ გავამტყუნებთ. ეს ანც ლუკასან თათქიძისე შექმდო.

1) ბ. ნიკოლაძე სრულ ჭეშმარიტებას აღიარებს, როცა ამბობს: ჩვენში კლასთა ბრძოლას „სეკრეტის ერთა ბრძოლა“ო. მარც ეს მოსახრება საუფლებით არ ეთანხმება ავტორის დახარჩნ მოსახრებებს და ასე გგონია ის, ისე, სხვათა შორის უთქვამსო. „ივერთის“ მეთაური ბ. ნიკოლაძეს სწორეთ იმას უწუნებს, რაც მოსაწონია, აქ კლასთა ბრძოლა კი არა, მარტო ერთა ბრძოლააო! (სტ 19) რასაკვირველია დახარჩნ იმის, რასაც უკვლავ სუდავს



და. მართალია, მას მეტი მომხრე, მეტი მეკენჭე ჰყავს, მარა გაბატონებული პარტია ყოველთვის უფრო ნენი, ზარმაცი და უსაქმოა, ვინემ ოპოზიცია. ის ვერასოდეს მთელ თავის ძალ-ღონეს ბრძოლაში ვერ იყენებს. ზოგს თავის შეწლებს არ სურს, ზოგს უბრალო მოძრაობაც ეზარება, ზოგი „მინჯ მოვიგებთო“ — ფიქრობს, ზოგი ფეხებზე მკიდიაო — ამბობს და სხ. ასეთია ბატონობის თვისება, ნებინრობის ბუნება და ამას ვერც თვითისის სოცდაგრები გაექცევიან. ოპოზიცია კი, როგორც დაჩაგრული, უფრო ცოცხალი, მხნე და მოძრავია. ცხადია, დღევანდელ საარჩევნო პირობებშიაც შეძლებულა ნაყოფიერი ბრძოლა და თუ მინჯ არაფერი გამოდის ეს თვით მებრძოლთ უნდა დაბრალდეს.

წავიდეთ ქვევით. ქართველობა თვითისის ღარიბ ნაწილს შეადგენს. მამასაღამე მისი საარჩევნო ასპარეზზე გაყვანა — ეს ქართველ ამომრჩეველთა რიცხვის გამრავლებაა. აქედან, საარჩევნო უფლებების გაფართოება, წერილი ბურჟუაზიის და მუშა-ხალხის ამომრჩეველბათ გადაქცევა — მოწინავე დასის მიზანი და პროგრამაა. საქიროა თვითისის ცხრა მეთაღი: აღიარებულ იქმნას ისეთივე მოქალაქეთ, როგორც ერთი მეთაღია. და როცა ეს ასე იქნება, მაშინ პარტიათა განწყობილებაც შეიცვლება და ნაციონალური განხეთქილებაც შესუსტდება. ქალაქის დაჩაგრული და დაბეჩაღებული ნაწილი შეერთდება და მით იძულებულ ჰყოფს სხვა-და-სხვა ერის ბურჟუაზიას შეკავშირდეს და საერთო მოწინააღმდეგეს საერთო ძალ-ღონით დახედეს. ამას გარდა, ზოგ უბანში მომეტებული ნაწილი ქართველობა ცხოვრობს, ზოგში სომხობა, ზოგში რუსობა; ერთ ალაგას უფრო ღარიბი ხალხია შეჯგუფული, მეორე ალაგას მდიდარი. ამიტომ ხმოსანთა არჩევანი უნდა მოხდეს უბნობით, რომ თვითთველ კუთხემ თავისი წარმომადგენელი (ერთი თუ რამდენიმე) აირჩიოს. ამ შემთხვევაში აღარ ეიქნებით იმის მოწმე, რომ ერთი რომელიმე პარტია, რომლის რაოდენობა თუნდაც ერთი ხმით აღემატებოდეს ყველა დანარჩენ პარტიის რაოდენობას, ერთათ ერთ ამრჩეველ და გამათეთრებელ პარტიათ ხდება. უკანასკნელ არჩევანში მონაწილეობა მიიღო 1050 კაცმა. იმ პარტიას, რომელსაც 52 ხმა ექნებოდა შეეძლო მთელი ქალაქის ხმოსნები თავისი წრისა აერჩია, ხოლო 524 კაცს კი არც ერთი. მარა ყველა ეს მეკენჭე უბნებათ რომ ყოფილიყო დაყოფილი, მაშინ ზოგ უბანში ერთი პარტია ექნებოდა ძრიელი, და ზოგში მეორე. და ხმოსანიც ყველა პარტიას ერგებოდა. ერთი სიტყვით, საყოველთაო, თანასწორი და პირ-და-პირი საარჩევნო უფლება ერთის მხრით, ხმოსანთა არჩევანი უბნობით


მეორის მხრით — არც ერთათ ერთი საშუალება ჰქონდა ტოკრატის დასამარცხებლათ და ქალაქის წესიერ გზაზე წასაყვანათ. ყველა ქალაქის გულ შემბატკივარი, დაიგრუღათა ყველა მოსარჩლე და სამართლიანობის ყველა მომხრე ამას უნდა თხოულობდეს და არა სხვა რასმეს..

ეს კიდევ ცოტაა. თვითისი: თვით-მმართველობის კითხვა მჭიდროთ შეკავშირებულია თვითისის კითხვასთან. თვითისის კითხვა კი პირველ ყოვლისა, ჩვენი კულტურული, ჩვენი მოქალაქობრივი კითხვაა. თვითისის ვითარება — ეს მთელი ჩვენი ქვეყნის ვითარებაა, თვითისის მდგომარეობა — ეს საქართველოს მდგომარეობაა. ქართველობა გამძლეაერებული თვითისში ნიშნავს ქართველობას გამძლეაერებულს საქართველოში; ქართველობა დაძაბუნებული თვითისში ნიშნავს ქართველობას დაძაბუნებულს საქართველოში. და თქვენ გგონიათ, ეს მარტივი ქვეშმარტება შეგნებული რყო იმათგან, ვინც დღეს ჩოქვა-ფორთხეთ ყარაულებს ეძებს? არ რას წერდა ერთი მითგანი 1878 წ.: „ჩვენს ქალაქს დიდი ბუდი მოკლეს. თუ ახლათ შეძენილი ქვეყნები შემოაგვიერთეს, ჩვენი ქალაქი ერთი კარგა მოზღდილის ქვეყნის შუაგული გახდება. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ვლადიკავკასიიდან რკინის გზა წამოვა, ჯუღლუზედ, თუ ყარსისკენაც უსათუოთ ასეთივე გზა გაივლის, ბაქოს გზაც დღე დღეზე გაიზარტება და ყოველ ამის გამო აუარკუქლა სალხი მოაწყდეს ტვითისს, თუ ერთმა რამ არ დაუშალა. დაშლა იმას შეუძლიან, თუ ჩვენი ტვითისი საცხოვრებლად უფარგისი იქნება“ და აი ახლავე უნდა მივილოთ ზომები ამ უცხო ხალხთა მოსაზიდაეთო („იერია“ № 9. ენას ეტოვებთ შეუცვლელათ, თუმცა მისი გაგება ძნელია. კურსივი ჩვენია). როგორც ხედაეთ ბაქოს, ყარსის და სხვა ხალხთა მოსვლა „ღადი ბედი“ ყოფილა და ამის მთქმელი იმავე დროს ქართველ ხალხს სოფლათ მიგრეკებოდა და ინტელიგენციას პროვინციაში გადასახლებას ურჩევდა. ერთი სიტყვით, ქალაქში უცხო ტომნი, სოფელში ქართველები — აი რას აღიარებდა თ. ილია ჭავჭავაძე და დღეს, როცა ეს მისი წადილი, წადილი უცხო ტომთა შემოსევისა, ასრულდა, მათ წინააღმდეგ ჯვაროსანთა ომს ქადაგობს! მარა მეორე მისი წადილი, წადილი ქართველობის სოფელში ჩაქერის, მადლობა ღმერთს არ ასრულდა. ჩვენი ხალხიც, წინააღმდეგ მეთაურთა ქადაგებისა, თავისი კუთხეებიდან დაიძრა და ქალაქებს მოაწყდა. და აი, რამდენათ ეს მისი მოძრაობა გაძლიერდება, რამდენათ ის მეტი მოვა ქალაქში და მეტ საქმეს ხელს მოჰკიდებს, იმდენათ თვითისიც ქართულ ელფერს მიიღებს, იმდენათ ის გაქართველდება და საბჭოც ქართველობის

ხელში მოექცევა. ²⁾ ეს არის გზა ჩვენი მოქალაქე-ბრივი განვითარებისა, ძველი ფეოდალურ-პატრიარქალური მდგომარეობის შეცვლის და ახალი ცხოვრების დაწყებისა. ჩვენ ამ გზაზე უკვე ვართ და ის მიგვყვანს ბოლომდე. გულ-გატეხილობა, სულ წასულობა და ყრულების ძებნა მხოლოდ გზა აბნეულთა და მოღალატეთა ხელობაა იმათ არ ესმით ჩვენი ახალი ცხოვრება და ათასწიერ ხანს ეჭიდებიან. იმათ არ გაეგებათ ჩვენი ახალი ურთიერთობა და სასოწარკვეთილებას ეძლევიან. და აი, ამ გაუგებრობას, ამ უიმედობას ამდენი გა'აფალი აქვს დღეს ჩვენში!

დასკვნა. თფილისის საარჩევნო კენჭი სამუდამოთ გაიხსნება ორი გზით: საარჩევნო უფლების გაფართოვებით, ყოველივე ცენზის სრული გაუქმებით, და ჩვენი ერის მოქალაქეობრივი განვითარებით, ყოველივე დროგადასული ზღუდეების დამსხვრევით. ორივე ეს არა არისრა გარდა ბრძოლის მოედანის გაფართოვების, გაგანერგების და გაწყვისა. ერთი სიტყვით მეტი უფლება, და ნაკლები დამორკვა საარჩევნო ასპარეზზე, მეტი ევროპელობა, და ნაკლები აზიელობა სამოქალაქო ასპარეზზე—აი რა გვსურს და რას ველტვით ჩვენ!..

ნ. ჟორდანიას.



სხვა-და-სხვა ამბავი.

ამას წინეთ ჩვენ მოხსენებულ გეჟანდა, რომ რამდენიმე ქართველი მემამულე აპირებს პარიჟის მომავალ გამოფენაში თავისი ნაწარმოებიც გამოაფინოს. ახლა იმათ განუზრახაეთ ეს საქმე უურო გაფართოვონ და გამოფენაში ქართული ცალკე განყოფილება გამართონ. ამ მიზნის მისაღწევით ისინი მოუწოდებენ ყველა მსურველთ შეუერთდნ მათ და საქართველოს ყოველგვარი ნაწარმოებნი მსოფლიო გამოფენაზე გაიტანონ. ამ მოწოდების ბარათი და პლანი ადრე დარიგდება. ამას მეთაურობს გამოფენის საქმეების კარგათ მცოდნე ბ. რაფიელ ისახლოვი და მსურველთ ახსნა-განმარტებისათვის მას უნდა მიმართონ.

თფილისის სამეურნეო საზოგადოების ვიცე პრეზიდენტის და საბჭოს წევრთა არჩევანი მდივანითთურთ მარტში მოხდება. როგორც გეტყობინებენ, აქაც ერთნაირი „ოპოზიცია“ შემდგარა ზოგიერთ მო-

²⁾ ამ კითხვის შესახებ ის. გასული წლის კვლეში (№ 29) წერდლი „თფილისი“.

სამსახურე პირთა წინააღმდეგ და მათ გაშეებდას უნარებენ...

ინჟინერ კეტრიცს, რომელიც თფილისის დეპოს მუშების არეულობის გამო რევიზორათ იყო გამოგზავნილი, უკვე შეუძუშაებია ახალი წესები თუ როგორ უნდა მიეცეს შემწეობა ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მომუშაებთა და მოსამსახურეთ. ეს წესები მას გზათა სამინისტროსთვის წარუდგენია განსახილველათ და დასამტკიცებლათ.

„ახ. მიმ.“ სიტყვით კავკასიის უმაღლეს მთავრობას გადაეცა 20,000 მ. ამიერ კავკასიაში რუსების გადმოსახლების საქიროებისათვის.

თფილისში არსდება ნოქართა საზოგადოება და მასთანავე საკომერციო კურსები, რომლის პროექტი ამ დღეებში წარედგინება მთავრობას დასამტკიცებლათ.

გასულ კვირას, 14 ამ თვეს, აკურთხეს მეტენის საპრობილეს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება თურმე არც ერთი ქართული გაზეთი, თუმცა მკითხველთა (ტუსალთა) უმრავლესობა ქართველობაა. გასულ წელს ჩვენ „კვალს“ ეუგზავნიდით, მარა შემოგვითვალეს რომ „კვალი“ ბიბლიოთეკამდის არ აღწევსო... ამიტომ ჩვენც მოვუსპვთ გზავნა.

სამკურნალო გამგეობამ განმარტა, რომ სოფლის საავთმყოფოები ვალდებული არიან მაზრის ექიმის რეცეპტით გლეხებს წამალი მუქთათ მისცენ და ეს არა მარტო იმ სოფლის გლეხებს, სადაც საავთმყოფოა, არამედ სხვა სოფლის გლეხებსაც.

ქუთაისის საბჭოს ხმის უმეტესობით გადაუწყვეტია: ქალაქის ტრამვანის გაკეთება მიენდოს ინჟინერ მიხაილოვს და უარი ეთქვას ამაზე რობისო.

ჩვენ მივიღეთ, შემოსავალ-გასავლის ანგარიში „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასწავლებლისა ბათოში. ანგარიში შეუდგენია ამავე სკოლის სამხრუნელო კომიტეტს და შეიცავს ცნობებს 1898 წლიდან ამ წლის პირველ იანვრამდე. ამ ხნის განმავლობაში სკოლას შემოსავალი ჰქონებია 22,454 მ. და 68 კ., და ამდენივე გასავალი ამაში 7569 მ. და 78 კაპ. ხელის მაწერით შემოსულა, ყველაზე მეტი კერძო პირთაგან. ილია ოქრომჭედლიშვილს შეუწირავს 500 მ., ნიკოლოზ ლოლობერიძეს, რობერტ რიხნერს და დავით სარაჯიშვილს

შეუწირავთ სამას-სამასი მ. შემომწირველთა სიაში ბევრი უცხო ტომისანიც არიან. სკოლას ამჟამათ 2075 მ. და 65 კ. ვალი აქვს. კომიტეტი ბოდიშს იხდის რომ სხვა და-სხვა მიზეზების გამო სრული ანგარიშის წარმოდგენა აქამდის ვერ მოვახერხეთო და ათავებს ლათინური ანდაზით: ექენი რაც შეეძლო.

ბაქოში გამართულ ქართულ საღამოს მთელი შემოსავალი 4,500 მანეთამდის ყოფილა.

ხუთშაბათს, 18 ამთვეს, ქართულ თეატრში წარმოდგინეს ახალი პიესა „სიკოა დენშიკი“ რუსულიდან გადმოკეთებული დ. მესხის მიერ. თვით „დენშიკის“ როლს ასრულებდა გადმოკეთებელი და თავისი თამაშით მაყურებლები აღტაცებაში მოიყვანა. ეს პიესა ისე ჩინებულათ არის გადმოკეთებული, რომ ასე გგონია ორიგინალური არისო. იმერელი სალდათის (დენშიკი) და რაჭველი აზნაურის ტიპები მკაფიოთ და ნამდვილათ არიან დახასიათებული. ყურადღება მიიქცია სეიმონიძემ რაჭველის როლში. ბოლოს წარმოდგინეს „ნება მიბოძეთ ბატონო“ იეკერესელაძისა, რომელიც მწყობრათ და მხიარულათ ჩაატარეს. საზოგადოთ, ეს საღამო მხიარულების და სიცილის საღამო იყო. საზოგადოება კი ძალიან ცოტა დაესწრო.

შაბათს, 27 ამთვეს, ქართულ თეატრში დანიშნულია უკანასკნელი წარმოდგენა რეჟისორთა, ე. აბაშიძის და კ. მესხის, საბუნებისოთ.

ბათომიდან გვწერენ: ამ 3—4 წლის წინეთ აქაური პატივცემული მანდილოსანი: მხეიძისა, ქიქოძისა, ბერძენიშვილისა, საბაგვისა და სოლორაშვილი ფულს აკრავებდნენ სამკითხველს დასაარსებლათ. მოაგროვეს კიდევ 500—600 მანეთამდე. ამის შედეგი კი აღარაეცით რა. მხოლოდ გასული წლის „კვალის“ მე-9 ნომერში მოხსენებული იყო, რომ ქ. მხეიძის თაოსნობით სახალხო სამკითხველო მალე გაიმართვისო. მას მერე აგერ ერთი წელიწადი გადის და საქმით არაფერი ჩანს. ძალიან კარგი იქნება ეს პატივცემული პირნი გაზეთის საშუალებით გაცნობებდნენ რამეს ამ საქმის შესახებ.

„კვალის“ კორესპონდენციები.

სოხა - ეს რამდენისამე ათი წლის წინეთ უმთავრესი ცენტრი ჩერქეზ-აფხაზთა ცარცვა-გლეჯისა და სისხლის ღერისა, ეს ბუნავი ყოველი ავკაცობისა, დღეს

მართლაც რომ გასაკვირველ სანახაობას წარმოადგენს. ვინც მისი წარსული ოდნავათაც იცის, ვისაც ათი-ოცა წლის წინეთ უნახავს, ის თითქმის ვერ იცნობს ახლანდელ სოხას. ამაში გვარწმუნებენ მოხუციანი. ცივილიზაციამ შემოადგა თავისი მძლავრი ნაბიჯი ამ ბუნებით შემკულ ადგილში და მოახდინა ისეთი სწრაფი ცვლილება, რომე უსაც ახლანდელად იგენ. სახსოვრათ იმისა, რომ ეს იყო უმთავრესი პუნქტი ჩერქეზთა სიმაგრისა და მასთანავე მოწმე მრავალი შავი ღლეების და სისხლის ღერისა. ჩვენ თვალთ წინ არიან მრავალი ნანგრევები ციხე-სიმაგრეებისა: მიწის ქვეშ გაკეთებული ხერხელები ჯარის ერთი სიმაგრიდან მეორეში გადასაყვანათ, თხრილები და ორმოები ტყვიანობების საწყობათ და მრავალი სხვა ნაშთები, რომელნიც უსიტყუოთ მოუთხრობდნენ მაყურებელს აქაურ წარსულ ცხოვრებას.

დღეს კი ეს ადგილი საუცხოოთ არის გაშენებული. მის გარეშემოა ამწვანებული ბაღები და აგარაკები, აქ მოეჩქარებიან რუსეთის დიდი ქალაქებიდან მდიდარი პირები დროს გასატარებლათ და კავკასიის ბუნების სიშვენიერით დასატკობლათ. აქ ეკონომიური ცხოვრებაც განვითარებულა. ალემ-მიცემობა და ვაჭრობა გაძლიერებულა. სააღებ-მიცემო ასპარეზზე უმთავრესი ადგილი რიცხვით ეკუთვნის ქართველობას, შემდეგ ბერძნებს და სომხებს. დიდი ალემ-მიცემობა დღეს ხელში უჭირავთ სომეხს მიკრა აკიმის ძე აივაზოვს და ბერძენს იორდანე მეტაკას — ქართველებში პირველი ადგილი უჭირავს ქონებით ბესარიონ ვატასძე ხოშტარიას. ამდენ პატივცემულ საზოგადოებას ერთი დიდი ნაკლულეგანებაც თან ახლავს, რის გასწორება საჭიროა. აქ არ არის არავითარი გონების და ზნეობის საფარჯიმო დაწესებულება, აქ არ არსებობს არც სამკითხველო, არც რაიმე საქველმოქმედო საზოგადოება და ამათ ძრიელ ცოტა თანამგრძნობიც ჰყავს. გვექონდა რა მხედველობაში მიღებული ყველა ესენი, ჩვენ განვიზრახეთ მიგვემართა აქაურ პატივცემულ საზოგადოებასათვის ვინადადებით, რომ მათ ხელის მოწერით გამოეღოთ იმდენი ფული, რომლითაც შესაძლებელი ყოფილიყო საზოგადო ალემ-მიცემობის დაწყება. მიზანი მისი იქნება მიწოდოს საზოგადოებას იაფ ფასათ საჭირო საგნები. რადგანაც აქ ყველაზე უფრო მეტი მოთხოვნილება აფთიაქის მალაზიის საქონლებშია, ამისთვის ეს პირველი საზოგადო ალემ-მიცემობა იმის გახსნით დაიწყება. მოქმედებას აქაური ერთათერთი აფთიაქის პატრონისას სწორეთ მოთმინებიდან გამოჰყავს საზოგადოება. ამ პირს მეტოქე არა ჰყავს და ამით ერთობ მეტის-მეტათ

სარგებლობს. მას რომ აფთიაქში ერთი წამალი არ ექნება აძლევს სხვას, რომელიც იქნება მანეთა ავთიპოფისათვის. რა თქმა უნდა ადრე თუ გვიან ეს ვაჭებატონი წაიმტვრევს ფეხს და აი, სწორეთ ამ საქმეში უმთავრესი მომქმედი იქნება ჩვენგან განზრახული აფთიაქის მალახია. მიზანი მისი იქნება მიაწოდოს საზოგადოებას ყოველივე საჭირო წამალი, რაც კი ნება დართულია აფთიაქის მალახიაში საწარმოებლათ და შეასრულოს თავისი დანიშნულება სენინდისიერათ.

პირველი თანხმობა ამ ჩვენ წინადადებაზე განაცხადეს შემდეგ პატივცემულ პირებმა: მიკრა აკიმისძე აივაზოვმა, ბესარიონ ვატასძე ხომტარიამ, კოსტა პეტრესძე გაგულიამ, ქუჩია გვასალიამ, ნიკო და ლევა ალექსანდრეებმა, პეტე ბოკუჩავამ, სვიმონ სიჯინაევამ, გიორგი ხოჯოლაევამ, ყარამან წიწავამ, ბესარიონ გვათუამ, ყირიმი ჩიტაიამ, გიორგი ფაჩულიამ, კოსტანტინე ლოლუამ, მაქსიმე ჩაჩიბაიამ, გიგო და გედა გუაუშვილებმა, ხრისტაფორე მელიამ, ანდრი ჩატაიამ, პეტრე გაბრიელისძე ვალაგუტოვმა, ვასილ სიმონოვმა და სხვებმა. მასთანვე ამ საქმის განხორციელების მეცადინე არიან აქაური მანდილხანები, რომელნიც დიდი მადლობის ღირსნი არიან. ჩვენ ჩვენის მხრით ეკისრულობთ ერთი წლის განმავლობაში მუქთათ ვემსახურო ამ კეთილ საქმეს. ¹⁾

აგქსენტი ვაჭაუა.

საფ. ბახვი, (გურია). მოგვსენებთ—ბახვი გურიაში პირველ სოფლათ ითვლება. რა მიზნით ჩემულობს ის პირველობას? თუ მის ინტელიგენტებს დაეკითხეთ, ამ გვართ გიპასუხებენ: კარგი მამასახლისით, კარგი სკოლით, კარგი მასწავლებლებით და კარგი „მამულიშვილებით“. მერე მართალია ეს? ბახვის ბობოლებს რომ ჰკითხოთ—მართალია და თუ ავიდაც საწყალ გლეხს დაეკითხე, გიპასუხებთ: „მაგი ბატონებია, ბატონო, რომ გვადგანან თავზე სულთამხუთაეებათ და თუ ამას უძახიან კარგ კაც უბას, პირველობას, მაშინ მართლა რომ პირველები ვყოფი-

1) აფთიაქის მალახია შეიძლება გარკვეულ წავიდე თუ ადგილობრივი გარემოება სეულს უწყობს და გარკვეულ გარემოებას უწყობს. მაქა ამასთანავე სოხის საზოგადოებას დაივიწყებს იმას, რომ საჭიროა აგრეთვე პიანდოთეატ. თუ კი ჩვენი მიუტყუებელი საფულებიც სამკითხველს დასუსტებს, რაღა დასაწყობებს ასეთ ადგილ-მიცემის ადგილს რეგონიც სოხია. იმედია ამ საგანსაც უწყობდნენ იქაური ქართველი საზოგადოება და აფთიაქის მალახიას გვერდში სამკითხველსაც მიუდგამს.


რედა.

ღვართ ბახველებიო... დიან, გლეხი მართალია ამ ბობს, მარა ვინ უგდებს მას ყურს! ბევრი, ძალიან ბევრი ბობოლები ეხვევიან ბახეს და აი, ამ ბობოლებზე მსურს, მკითხველო, ცოტა რამ ვითხრა; რასაკერეელია ცოტა რამ, რადგან ყველა „საკვირველ-მოქმედებანი“ რომ გაუწყო ამ სოფლის „განმანათლებლებისა“, ძალიან შორს წავალთ და ამის ნებას ჩვენ არც ვახეთის ვიწრო ფარგალი გვაძლევს და არც „სხვა რამეები“... ვერ წარმოიდგენ, მკითხველო, ამ ბობოლებს ერთმანეთში რა კეთილი განწყობილება აქვთ. ტარიელს და აეთანდილს რომ იდეალური მეგობრობა ჰქონდათ—ერთმანეთს შეელოდნენ. ერთმანეთს იხსნიდნენ ვაჭირვებისაგან; ისე არიან ბახვის ბობოლებიც, მარა არ იფიქრო, ვითომ ეს ბობოლები იმგვარივე მიზნით იყვენ გამსჭვალულნი, როგორც ტარიელი და აეთანდილი. არა, ესენი თუ ერთი მეორეს შეელონ, ეს იმიტომ რომ ერთი უმეორათ არ ვარგა. ერთი მეორის ბოროტობისგან დიდ სარგებელს მოეღოს, და ვინ არის მათი სახრავი? ბახვი, ბატონებო, ბახვი და მისი მცხვრებლები. ბობოლებმა კარგათ იციან, რომ შეერთებული ძალა ყოველივე საქმეში კარგია, და ჩვენი ბობოლებიც ისე არიან ერთმანეთზე გადაბმულ-გადაკავშირებულნი, როგორც ჯაჭვის რგოლები. მარა რას ვამბობ! ჯაჭვს რომ ერთი ორი რგოლი მოაშოროთ, მაინც ჯაჭვით დარჩება. ბობოლებს რომ ერთი ორი ბობოლა მოაშოროთ, წახდება ბობოლების საქმე, მათი ნახევარი ძალა დაიკარგება. ასე და ამ გვართ ბობოლები შეერთებულათ, ხელის-ხელ ჩაკიდებულები მოქმედებენ. მაგალითათ, ერთ ბობოლას მის ბოროტ მოქმედებაში წაუსხლტა ფეხი და ლამის არის გაიშნლართოს მიწაზე. აი, მაშინ არიან საჭირონი მისი მოკავშირენი: მიაშურებენ აქეთ-იქედან, სტაცებენ ხელს, წამოაყენებენ, „რათა განაგრძოს გზა მისი სამართლიანი“...

რასაკვირველია, პირველი ალაგი ბახვის ბობოლებთა შორის უჭირავს ბახვის მამასახლისს. მოგვსენებთ, რომ მამასახლისი სხვა ბობოლებისათვის დიდი საჭირო კაცია და სხვებიც ისე უფროთხილდებიან მას, როგორც საესე ჭიქას. აგერ ორი წელიწადია, რაც ბახველები ამ ვაჭ-ბატონის რაინდულ საქციელს ითმენენ, მარა რაღა მოთმენაა!... რა და რა გინდათ, რომ არ ჩაედინოს ამ „სასიქადულო“ მამასახლისი, ამ „ბახვის თავს“ რომ ვთქვათ მისა ამხანაგების სიტყვით. ჯერ კიდევ მამასახლისის ჯაჭვი ჩაბარებული არ ჰქონებია, როცა ღამე გულადობით შეუხტა ჯინჭარაძეს ღუქანში. რისთვის? ისე... საქციელთ. ჩააბარეს ჯაჭვი. ახლა უფრო გაყოყოიდა ახლა სულ სხვანაირი ს. დ—ძე შეიქნა. თავის თავი

ბაზის მეფეთ მიამჩნია, მთელი ბაზი მის საკუთრებათ. ერთ შეენიერ ლამეს, გალოთებულ-გალეშებული, თავისი ამალით შეუხტა სახლში გ. დინარაძეს და ასტეხა ერთი ალიაქოთი, აკენში ბაეში ისე შეშინდა ამისი რაინდული მოქმედებით, რომ არ გასულა ერთი კვირა მოკვდა. ეს რაინდული საქმე ბაზის მამის, ბ. ნ. ს. დ.—ძისა, სასამართლოში წარმოებს და ენახათ რა მოჰყვება ამას. შეზარხოშებულმა მამასახლისმა გაისროლა ბერდანის თოფი გოგითიშვილისას, ტყვია მოხვდა მუხლში საწყალ მოხუცებულ დედა-კაცს და ზედ მიამტვრია მუხლი. ამ დელიყანდობისთვის მას ახლა ჯაჭვიც კი ჩამოართვეს, მარა ვიქანოთ იმედით რომ მას ჩამოართმევენ მამასახლისობას? ვინ იცის. მისა ძმა-ბიჭები რას არ მოახერხებენ თავის დელიყანდ ამხანაგისათვის... ურიგო არ იქნება ამ ვაჟბატონ მამასახლისის საქციელს ყურადღებას მიაქცევდეს ბ. ნი მაზრის უფროსი და მოაშორებდეს მას მამასახლისის ხელობას, რათაც საცოდავს ბაზელებს ბევრ-გვარ გასაჭირისაგან იხსნის. სოფლის ფულებსაც წედა პატიოსანი ხელი რაინდ მამასახლისისა. მოთხოვეს ანგარიში. რის ანგარიში! სადაა ანგარიში!.. ერთ კვირას მიაბრძანეს ციხესა შინა ამიათვის, მარა გაქანდენ ძმა-ბიჭები, იმას ეცენ, ამას ეცენ და თავისი ძმა და ამხანაგი რაინდი იხსნეს ციხისაგან. მეჩე ვინ არიან ეს ძმა-ბიჭები, რომ ამ გვარ რაინდს იფარავენო? იკითხავთ. ესენი გახლან, ვგრეთ წოდებულნი, ბაზის ბატონები. ერთს ამათვანს იუბილის გამართვასაც კი უპირებს საქართველო „ცნობ. ფურცლის“ სიტყვით 25 წლის მოღვაწე ობის გამო პედაგოგიურ-ასპარეზზე. ნუ თუ ასეთი პედაგოგი გაეთ ბაზელებსო! გაიკვირებთ. დიახ, გყავს, ბატონებო! მარა ამ პედაგოგზე და მის სკოლაზე შემდეგ მოგვლაპარაკებით...

ბასკელი.



კვირიდან კვირამდე

X საგმირო საქმე — ბეჭდვა-ხევა — პიჩკელი ნახიჯი — „კარგი რაჲ მჭინდეს გიგვირდეს“ — „აჲი რა საკვირველია“ — დაბრწყებული მკითხველი.

ღმას წინეთ ერთი ფოთელი გადამეყარა და საყვედური საყვედურზე ზედ გულზე მომახლა. ჩვენ იმდენი ვიმუშავეთ, ოფლი დედღარეთ და როგორც იყო ბიბლიოთეკა გავხსენით და თქვენ კი ამ საგმირო საქმეს ქება-დიდება არ უძღვენითო. — აკი იყო მოხსენებული ახალ ამბავში... — ახალი ამბავი კი არა

ერთი სტატია უნდა დაგვეწერა ამის შესახებო, მარა ჩრა მან და გამშორდა. დიახ, შესანიშნავი ამბები დატრიალებულა ფოთში და ჩვენ კი ვერ დავგიფასებია! რა პატარა საქმეა თურმე საკმარისი რომ ფოთის „ქველ-მომქმედნი“ გააბუმბერაზოს. კომპლიმენტებს ყოფილა დაჩვეული ეს ჩვენი ფოთი, მარა ჩვენ გვეგონა ამას მარტო მისი გამგეობა ითხოვდა, ახლა გამოდის რომ ეს სენი უბრალო მამაკედეთაც გადადებია და ეს ხუმრობა საქმეა! მართალია, თვით მიყრუებული სოფელიც კი წიგნთ საცავს და სხვა ასეთ რამეს მართავს და სამაგიეროს არას თხოულობს, მარა სოფელი რა მოსახსენებელია და ისიც „მიყრუებული“; აი ფოთისებური ქალაქი უნდა ყოფილიყო რომ აქ საქვეყნოთ დაეძახა: შემოგვხედეთ რა ბიჭები ვართო, და, თუ არ შეხედავდი ნახავდი, შენ სეირს. დიახ, სასეირო ამბავია, სასეირო!


* * *

და განა მარტო ეს. სასეირო ამბებით ერთობ მდიდარი ვართ და იმედია ღმერთი მას არ გამოკვილევს ჩვენდა გასამხიარულებლათ და გასართობათ. ერთი ასეთი ამბავი ერთ „გაახალგაზღვებულ“ ჟურნალის რედაქციაში დატრიალებულა. სტატია ჯერ მოუწონებიათ და დაუბეჭდიათ, მერე დაუწუნებიათ და დაბეჭდილის დახვეას შედგომიან; მარა რალაც ეშმაკათ ეს მეორე „სარედაქციო მუშაობა“ ვერ მოუსწრიათ თუ არ მოუსწრიათ და ჟურნალის ზოგ ნომერს ნახვის ნახევი კუდათ გაჰყოლია. ახლა კი განრისხებულა თვით ავტორიც (ბ. გ. ი—ანი) და „ივერიის“ ფურცლებზე რედაქტორებს სათითაოთ დუელში იწვევს, ან ჩემი დაკუწული სტატია და ან თქვენო. ავტორულ თემოყვარებობამ იფეთქა. ეს არ არის გასაოცარი. საოცარია მხოლოდ ის, თუ ასეთ პაწაწინტელა ბიბლიოგრაფიამ რანაირათ ატეხა ამ ახალ სარედაქციო „კომისიაში“ იმდენი აურ-ზაური, რომ ის, რაც ერთმა დაბეჭდვია, მეორემ დაახვეია. აი განახლებაც ამას ჰქვია!

* * *

მარტო განახლებაში რომ საქმე იყოს, ბათომის ბედს ძალი არ დაჰყვება. მოგესხნებათ, აქ საბჭო განახლდა, გამგეობა განახლდა და, მიუხედავთ ამდენი განახლებისა, ყოველივე მაინც ძველებურათ მიმდინარეობს. ეს „ახალაც“ ისე მოღვაწეობს, როგორც უღვაწია მის მამა პაპათ და იმედია ასევე იმოღვაწებს მერმისშიაც. მარა ბათომში ხმოსანთა ვარდა კიდევ არის სხვა ვინმე და აი ეს მართლაც „ენმეები“ გაკადნიერებულან და „ძველებური ჩვენებურის“ შეცვლა განუზრახავთ. ესეც რასაკე რეელია იმავე ხმოსანთა საშუალებით, თხოვნით. იმერელ ხალხს ხომ მაინც ისე სჯერა, ყვე-

საქართველოს
საბჭოთაო




ა.
ბ.
გ.
დ.
ე.
ვ.



ლაფერი თხოვნის ქალღმერთს გაკეთდება და ერთს კიდევაც უნატრია: საიქიოს არაფერი არ დამჭირდება გარდა საწერ-კალამის და მარკისაო. ჰო, და ბათომელ ქალაქის მუშებსაც „გაუშანშალებიათ“ ერთი არშინი სახეწარი და საბჭოში შეუგდიათ, თქვენი თქვენი. წაიკითხეს თუ არა ხმოსნებმა, შესკდათ სიცილი, მუცელზე ხელმოჭერილი ზოგი გარეთ გამოარბოდა რე ზოგიც იქვე გორავდა რე მეტის-მეტი სიცილით ფეხებს იატაკზე აფანჩხალებდა. ბრიყვი მუშები! აქაო და ჩვენც მოგებდნო! ამათ დახმარების მაგიერ კინალამ ხათაბალა აიტეხეს. ერთ ხმოსანს უთქვამს: მე სულაც არ ვიცოდი ჩვენი მუშები ქალაქში თუ ცხოვრობდნენ, ეს მე პირველათ მესმის, მათთვის ჩვენ განსაკუთრებითი უბანი გვაქვს და ვუბძანოთ იქ გადასახლდნო. და ასე შენობის მუქათათ დათმობას ვინლა ჩიოდა, რომ თავისი ფულით ქირაობაც სადაოთ არ გაეხადათ. აი, ეს გახლავს ახალი საბჭოს პირველი ნაბიჯი და ამას სწევბიც მოჰყვება ბათომელი ხალხის საბედნიეროთ და სასიამოვნოთ..

* *

ერთ ახალ ნაბიჯს ამ ჟამათ თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა აკეთებს, ანუ, უკეთ რომ ეთქვათ, მისთვის აკეთებენ. მოკვსენებათ, რომ მან უნდა აირჩიოს ბანკის წარმომადგენელი. თფითოეულ მაზრას თავისი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს, მარასად მოხდება არჩევა? თუ მაზრის ქალაქში მოხდა, მაშინ მას მეტი თავად-აზნაურობა დავსწრება, იქ ულარიბეს აზნაურსაც კი შეუძლია მივიდეს და კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღოს. თუ კი თფილისში მოხდა-- მაშინ, რასაკვირველია, ცოტა ხალხს შეეძლება დასწრება და წარმომადგენელთ მხოლოთ შეძლებული თავადობა აირჩევის. ამისათვის მოსალოდნელი იყო არჩევაი მაზრებში გადაწყდებოდა, მარა თფილისის თავად აზნაურთა კერძო მოლაპარაკებას ეს მავნებელათ (უთუოთ თავისთვის) უცენია და გადაუწყვეტია: ვისაც არჩევა უნდა-- ჩვენთან, თფილისში, მობძანდესო. და ასე ახლა თელაველმა აზნაურმა მთე-



აღუჩაკლეთის ქალის განცხრობა.



ლი დღე უნდა იმოგზაუროს იმიტომ, რომ თავის მახრის წარმომადგენელი თფილისში აირჩიოს! „კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“-ო უთქვამთ წინეთ და განვიმეოროთ დღესაც.

* * *

მარა არიან ისეთებიც, რომელნიც აქეთ-იქით ლაპარაკით არ კმაყოფილდებიან და ყურ-მოკრული კორი მწერლობაშიაც გამოაქვთ. აი მაგ. ბ. ან. ფურცელაძეს სადღაც მოუხსენია თუ წაუკითხნეს რაღაც არაკები მარქსისტების შესახებ და „წერილის“ (№ 31) ფურცლებზეც აღუბეჭდია. მერე იცით რა ზღაპარია ეს? აი რა: მარქსისტები თურმე „გაიძახიან: გაყვლიფეთ ხალხი, გაძარცვეთ იგი, გაუშვით მშიერ მწყურვალე ღია-ცის ქვეშა“ და სხვა, ერთი სიტყვით ისინი ამ საუკუნის ბარბაროსები ყოფილან. ბურჟუა, ფეოდალი, მოსე მწერალი — რა მოსაგონია, ესენი მათთან შედარებით ანგელოზებია და აი, ბ. ანტონსაც კორი ჭეშმარიტებათ მიუღია და ამაში აჯერებს თავის მკითხველსაც. მკითხველის დაბრკელებაც ამას ჰქვია!...

უკლამ ვიცი, მუკე მით რა?
სკენ აწაფრათ არ ვაგრძა.
ნურც თავს სასხვ ზეცის შვილათ,
არ ითქმება მავი შენსკა,
სად ზეცა და დედ-მამა!
შოას აწიან ერთმანეთსკა...
შენ ხალხის ს:რ ღვიძლი შვილი,
მას უზრდისარ თავის მკეცლით,
მსკვე უთქვამს შენს აკვანსკა
მწყობრ:თ ხანა ცრემლის ფრქვევით.
აბა, მამინ რა იცოდი
მისკეპები იმა ცრემლის!..
რა იცოდი, რა გესმოდა
დედაშენის ნაღვლის სმების!..
გაიზარდე გელაქ ეს ხანა,
მისკდა შენი მტრინობი გული:
რა ცრემლია, სიდან განდა
და სადა აქვს დასასრული..
მამ, დაჯკარ სიმით! უუკს გიგდევენ,
გავგავონე წმინდა სმები,
შიგ აღბეჭდე ჩაგრულთ სკედნი
მძიმე ტვირთათ დანადები...

ქ. გოგოლაძე.

პოეტს.



რეუხართ დაჯკარ სიმებს,
უტუყანი გვიდა სმები,
რამ იმ სმებში გამოკრულეს
თვით ცხოვრების შესუბე.
ბეჩავ ხალხის ჭირ-განამი,
საცრემლა და სავალალო
შიგ აღბეჭდე, რა სიბნელე
გაჭფანტო და განათლო;
რამ ჩაგრულთ გულთ მკება მისცე,
მათ ტკივილებს სელი ასლო,
ცხოვრებაში ჩასხედო,
თავის თავი დაანახო;
რამ ამტნო მათ მომავალი
რას გვიქადის, რას გვმინდებს,
მიასკედრო; რა ყოფილას,
რა არის და რა იქნება.
რატომ უძღერ ვარდ-ბუფბუფებს,
შოას წაგვიყვანს სასდაზროში
და იმათი ქებათ-ქება
ვის რათ უნდა ამ დროში?!..
ბუფბუფი რა ვარკათ მღერის
და ვარდი რა ღამისა

წერილი ქუთაისიდან.

ახლა შეგვიძლია ეთქვას, რომ ქუთაისის საბჭომ დაასრულა თავისი ამ წლის მოღვაწეობა. ხარჯთაღრიცხვა ამ წლისა უკვე განიხილა და კიდევ მიიღო. მაშ რაღა დარჩენია? უფულოთ, უხარჯოთ ხომ არაფერი კეთდება და ეს ხარჯი უკვე გადაჭრილია. სწორეთ გულ საკოლავ სურათს გვიხატავს ჩვენ ეს ქუთათური ბიუჯეტი. მართო ხარჯთაღრიცხვა რომ არ აიღოთ, ისე საეცებით რომ გადახედოთ ქალაქის თვითმართველობის მოღვაწეობას, ეს სურათი კიდევ უფრო თუ დაბნელდება, თვარა ნათელი არაფერი მოგემატება.

იმისთანა უხამსო ქალაქს, როგორიც ქუთაისია, ის სენი ჭირს, რომ მეტათ დიდი ნაწილი გასაველი-სა უჭირავს საზოგადოთ აღმინისტრაციის, და მის წესრიგის დამცველ ორგანოების შენახვას. ხოლო ისეთი საზოგადო საქმეები, რომელნიც მართლა ამაღლებენ ქალაქის საწარმოვეო ძალას, მის კეთილ დღეობას, მეტათ სუსტია, მიმქრალია. აი ციფრები: დაახლოვებით რომ ვიანგარიშოთ, ქალაქს წელს გასაველი აქვს 148000 მანათი. აქედან უმეტესი ნაწილი იხარჯება პოლიციაზე 30,000 მან., ე. ი. 20% მთელი ხარჯისა, მეორე ადგილი უჭირავს თვით ქალაქის



სამართველოს — საბჭოს და მის ადმინისტრაციას, რომელიც თავის შესანახათ ითხოვს 25000 მან., ე. ი. 17% საერთო ხარჯისას, მერე სამხედრო გადასახადი, ჯარის შენახვა—16000 მ., ანუ 11% აქვე უნდა მიეუმატოთ სანიტარულ მიზნებისთვის გადაღებული ხარჯი, რადგან ამ სანიტარულ მოქმედებასაც პოლიციური, ადმინისტრაციული ხასიათი აქვს — 18000 მ.,—12% და ცეცხლის ქრობისთვის გადაღებული პაწაწაწიკნეტელა ხარჯი—4000 მან.,—3%. ამ სახით 73% ხარჯისა მიაქვს მართო მართვის საქმეს, წეს-რიგის შემოტანას. რაღა დარჩება ქალაქის გაუმჯობესებისა და განათლებისთვის? გზა, ხიდები და სასეირნო ბაღი ითხოვს 17000 მ.—11½%. მარა აქ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ხიდები შემოსავლის წყაროცაა, რაც ქალაქისთვის არაფრათ საქმეებურია. და თუ გამოვედით ხიდების შემოსავალი და გარდა ამისა ის გადასახადიც, რომელიც შემოაქვს სახლის პატრონებს გზების გაკეთებისთვის, ამ საქმეზე დაგვრჩება მხოლოდ 4,000 მანეთი. რა უნდა გაკეთდეს ამ ფულით, რა გზების გაყვანას აპირებთ? ახლა განათლება. მარა ღირს ქუთაისის განათლებაზე ლაპარაკი? ქალაქს ძლიერ-ძლიერობით აქვს ერთი ბიბლიოთეკა და ერთი პირველ-დაწყებითი სკოლა, რომელიც ვითომ ღარიბებისთვის არის დაარსებული, და თანაც ამ სკოლაში წლიურ სწავლის ფულათ დადებულია თორმეტი მანეთი.

როგორც ჩანს, ქალაქს თავისი გამანათლებელი დაწესებულებანი თითქმის არ მოეპოვება, მაგრამ ის არც სხვებს უწყობს ხელს განათლების საქმეში. ვაბრიელ ეპისკოპოსის სახელზე დაარსებულ იაფ-ფასიან სამკითხველოსაც კი უარი უთხრა ჩვენმა საბჭომ, ვერ დაგეხმარებითო. ზოგიერთი ხმოსანი ამ უარმა იმდენათ შეარცხინა, რომ წინადადება შემოიტანეს კერძო პირებს მიებაძოთ, გავმართოთ კონცერტები და ისე დავეხმაროთო. სულ ქალაქი ხარჯავს განათლებისთვის 8,896 მ., ვითომ 6% გამოადის. მარა ესეც არაა. ამ ჯამიდან უნდა გამოვიდეთ განათლებაზე დადებული ბეგარა, — შემოსავალი, რომელსაც შეადგენს სწავლის ფული და ბიბლიოთეკის გადასახადი. გამოვა, რომ ნამდვილათ ქალაქი ხარჯავს არა 8,896 მანეთს, არამედ 2,144 მ. ასეთია ქუთათური ზრუნვა განათლებაზე. ხომ ხედავთ რასურათია? ხარჯავს 148000 მანათს და აქედან განათლებას ანდომებს 2,144 მანათს! სად არის აქ ძალა, რომელიც იმარხება თვითმართველობაში, თავის აღორძინების სურვილში? რა მოგახსენოთ! მე იმას ვერ ვხედავ. უძღურება თუ გინდათ — ეს კა აშკარაა, ქუთაისის უძღურება იქიდან წარმოდგება, რომ მეოჯახე მართალია ჰყავს, მარა თავისი ოჯახი,

თავისი მეუწნეობა არ აქვს. ამას შემოსავლის გადახედვაც დაგვანახებს, ქალაქის შემოსავალს ორი წყარო აქვს: ერთი ქალაქს უძრავი საკუთრება (შენობები და სხ.) მეორე მოძრავი (სხვა-და-სხვა წარმოების, ვაჭრობის რ სხვა გადასახადი). ამ უკანასკნელზე გაწერილ გადასახადით ცხოვრობს ქუთაისი. 70% მისი შემოსავლისას შეადგენს სამიკიტნოებისა, არაყის ქარხნებისა და სხვა მაგგვართ გაწერილი გადასახადი. მაშ ქალაქის თვით მართველობას მომავალი ნათლათ უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი. ან ძველ გზას უნდა გაჰყვეს, სამიკიტნოების და ყავახანების გამრავლებას უყუროს, მათ შემოსავალს ელოდოს და ამ ლოდინში ერთ გეარ ცოცხალ — მკედრულ მდგომარეობას მიეცეს. ან და თავი დაანებოს ამ სიკვდილის გზას და საწარმოვეო, სასიცოცხლო გზაზე გამოვიდეს. რომ ეს გზა ერთათ-ერთი სასიცოცხლო-გზაა, ამას ზოგი ხმოსნებიც გრძნობენ, მაგრამ საუბედურათ მართო გრძნობენ. ამას წინეთ ერთმა ძველმა ხმოსანმა შენიშნა, რომ ამ რამდენისამე წლის წინეთ საბჭომ გადაწყვიტა — დაეარსოთ ლომბარდო, ეს ქალაქის მკვიდრთათვის მეტათ საჭირო საკრედიტო დაწესებულება, ამისთვის ფულიც გადადევს, მარა ფულსაც „ყლუნწი“ უქნეს და ლომბარდს დღემდისაც ვერ ველირსეთო. ხედავთ, ყოფილა შესაძლო სასარგებლო დაწესებულების დაარსება და შემოსავლიანი წყაროს გაჩენაც. მეორე მაგალითიც: როცა ხარჯის აღრიცხვაზე იყო ლაპარაკი, ერთმა ხმოსანმა მორცხვათ შენიშნა, კარგი იქნებოდა, ქალაქი რომ ისარგებლებდეს იმ შემთხვევით, რომ დღეს დიდი მოთხოვნილებაა ამერიკულ ვაზებისა. მიწები ბევრი გვაქვს თავისუფალი, გავაშენოთ საჩქოლე. ეს ადვილი საქმეა და ცოტა ხელსაც მოგვითობსო. მესამე მაგალითიც. ქალაქს აქვს ეკლარში ქვის სატენი ადგილი. ეკლარის ქვა მეტათ ძვირფასი საშენებელი მასალაა. როცა ტენთ, თლით, რბილია და რამდენიც ჰაერზე რჩება, იმდენათ მაგრდება. ამ ქვით არის აშენებული თფილასის ახალი სამხედრო ტაძარი. დღეს ეს ქვის სატენი იჯარით აქვს აღებული ვილაც ჩარჩს და სამიათას მანეთამდის იხდის იჯარის საფასოს. რამდენი გააქვს, ეს არავინ იცის, ნარდათაა. მიცემული. ეს საქმე მეტათ სარგებლიანია, მოითხოვს გაფართოებას. თვით მოიჯარადრე თხოულობ, ერთი სამათ მომიმატეთ იჯარის ფული, გზა გამაყვანეთ და კიდევ რამდენიმე წლობით მომეცითო. სადაა ქალაქი? რა საქმეებშია გართული? ნუ თუ ქვის ტენასაც დიდი ორგანიზაცია და თავის მტერევა უნდა? ხიდები კი იჯარით აქვს ქალაქს გაცემული, იქვე ცხვირის წინ აქვს და იმისთვისაც კი ვერ მოუვლია. განა სუ-


რეილი იყოს, თვარა ცოტა გამოინახება სხვა კიდევ უფრო შემოსავლიანი წყაროები? შემოსავალს თავი დავანებოთ დღეს თვით ქალაქიც განსაცდელშია. მაშინ, როდესაც მთელ დედამიწის ზურგზე არსებული ქალაქები ცდილობენ ყოველ თავის საქმეს თითონ გაუძღვენ, ჩვენი საბჭო ლატარიას თამაშობს. რობის მიეცეთ ქუთაისი თუ მიხაილოვსო. დღეს თუ ხვალ ქალაქი ისეთ კაპიტალისტებს ჩაუფარდება ხელში და ისე თი პირობებით, რომ მთელი ქუთაისი საწველ ფურათ გადაიქცევა და ეს წლობით კი არა, ეინ იცის, ევებ საუკუნითაც. ქალაქს საბჭო ხელს იღებს შემოსავლიან საქმეზე, საქმიანობას გაუბრძის და თავის უფლებას, თავის ძალას და მომავალს ჰყიდის. რატომ? იმიტომ რომ საქმეს შრომა უნდა, საზოგადოებისათვის შრომა კი ადვილი არაა ამ ბურჟუაზიულ დროში. ტყუილ ხმელ უფლებებზე რომ იყოს ლაპარაკი, შეგაკედებიან; როგორ თუ შეუტრაცხეავეთ, ეს გამიბედეთო. აი მაგალითიც: ქალაქის თავმა ჰოინდომა მდივანი თითონ აერჩია, ე. ი. დაეყენებია ვინმე თავის სურვილით გამგეობის მდივანთ და იმისთვისვე მიენდო საბჭოს მდივანობაც. საბჭოს მაშინ თავისი ამორჩეული, მის წინაშე პასუხის მგებელი მდივანი აღარ ეყოლებოდა. ატყდა ერთი აურ-ზაური, ადვოკატი და არა ადვოკატი — ყველა ფენისცერებზე დადგა. გამოჩნდნ მჭერმეტყველნი, ადამიანის უფლებათა დამცველნი. მერე რა ხალხია ეს უფლებების მამძებელნი? რათ გინდათ უფლებები? ხომ იცით რომ უფლებას შეიქმს ძალა და ძალას შეიქმს მოქმედება? ისიც ხომ იცით, რომ არ მოქმედობთ (უკაცრავათ, რა საკვირველია, კერძო მოქმედებაზე მე აქ არ ვამბობ, ეს არაფერს ავიწყდება). მაშ რათ გინდათ ეს უფლებები? სადაც მართლა ჰკარგავთ უფლებებს, იქ ჩუპათ ხართ და აქ წერილობან საქმეში თავს იმტვრევთ? რა საკვირველია, თქვენც კარგათ იცით უფლებებზე ლაპარაკი, მარა ამას მოხმარება, საქმეში გამოყენება ეჭვრება. მაშ საქმე, ბატონებო, საქმე!

19 თებერვალი.

19 თებერვალს შესრულდა 38 წელი მას აქეთ, რაც ბოლო მოელო ბატონ-ყმობას და 23 მილიონი რუსეთის გლენ-კაცობა განთავსულდა. ეს რეფორმა მართლაც რომ ერთ შესანიშნავ მოვლენას წარმოადგენს რუსეთის ცხოვრებაში. მაგრამ, გაბედვით შეგვიძლია ვთქვათ, ამ რეფორმას აქამდე მხოლოთ აქებდენ, მის სასარგებლო მხარეებს აჩვენებდენ და ნამდვილ მის მნიშვნელობაზე კი არაფერს

გვეუბნებოდენ. მხოლოთ ეხლა, როცა 38 წელი შესრულდა ამ რეფორმის გამოსვლას შემდეგ და საზოგადოებამაც იგემა მისი ნაყოფი, შეგვიძლია მისი აწონ-დაწონვა და სამართლიანი მსჯავრის დადება. როგორი იყო რუსეთის საზოგადოებრივი დამოკიდებულება ამ ღირს-შესანიშნავი რეფორმის გამოცემამდის? მებატონე აძლევდა გლენს მიწას, ხეტყეს, შინაურ პირუტყეს, ზოგჯერ ფულსაც, ერთი სიტყვით ყოველ გვარ სახარს არსებობისათვის. ხოლო გლენი იძულებული იყო კვირაში 3-4 დღე ბატონისათვის ემუშაუნა. მიწა, ხეტყე, პირუტყვი და სხვა... მებატონის მხრივ წარძოადგენდა გლენის ბუნებრივ სასყიდელს. ამასთანავე ყოველგვარი ნაწარმოები—გლენის კუთვნილებას შეადგენდა იგი თუ ბატონისას — კი არ იყიდებოდა, არამედ იქვე, მწარმოებლის ოჯახში სახმარებლათ რჩებოდა. ამ გვართ მაშინდელი მეურნეობა იმავე დროს წარმოადგენდა ნატურალურ, თვით მოსახმარ (самопотребительное) წარმოებას. მებატონეს თავის სახლში ჰქონდა ყოველივე, რაც კი მისთვის საჭირო იყო. გლენი აძლევდა მას პურს, ხორცს, ფრინველს, ერბოს, — ერთი სიტყვით, ყოველგვარ საჭირო სანოვაგეს. გლენის დედაკაცო, მოახლე, უქსოვდა მას: შალს, მაუდს, ტილოს და სხვა ხამეულობას ტანისამოსისათვის. თავისი საკუთარი თერძები უკერავდენ მას ტანსაცმელს; საკუთარი დურგლები უშენებდენ სახლებს, უკეთებდენ ავეჯს უფრო ნიჭერი და ხუნჯი შინაყმები ართობდენ და აქცევდენ მას ცეკვა-როკითა და მუსიკით; ხუმარეები აცინებდენ და ართობდენ, როგორც მებატონეს ისე მის ოჯახობასა და აურაცხელ სტუმრებს... ერთი სიტყვით, მაშინდელი მებატონის სახლი წარმოადგენდა რალაც განცალკევებულ, რალაც თავისებურ სამეჯოს, რომელსაც თავისსავე სახლში მოეპოვებოდა ყოველივე ცხოვრებისათვის საჭირო მასალა.

მაგრამ დროში იცვალენ. ცხოვრების ჩარხი სხვაფრივ მოტრიალდა. მებატონეს თან-და-თან დაეზადა ახალ-ახალი მოთხოვნილება, რომელსაც ის პარტო თავისი საშუალებით ვერ დაიკმაყოფილებდა. ქალაქებში ხეტიალის დროს, მებატონემ შეითვისა ახალ-ახალი ჩვეულებები, ის შეეჩვია განცხრომიათა ღ ფუფუნებით ცხოვრებას. ის როდი ჯერდებოდა შინ მოქსოვილ შალსა ღ ხამეულობას; ის იცვამდა ფრანგულს და სხვა მოდაზე, მიირთმევდა ნაირ-ნაირ საქმელებს, სვამდა შამპანიურსა და სხვა გვარ ღვინოებს; ჰყიდულობდა ფაბრიკებსა და ზაფადებში გაკეთებულ საქონელს. ყველა ამას ის უფულოთ ვერ შეიძინდა; მას ეჭვრებოდა მხოლოთ ფული... ფული აგრეთვე საჭირო შეიქმნა სახელმწიფო ბეგარის გადასახადათაც... ამიტომ მას უნდა გამოენახა რამე საშუალება და კო



დღეც ეს იყო მიზეზი, რომ მებატონემ, უწინდელი ნატურალური ბეგარის მაგიერათ, ფული მოთხოვა გლეხებს. მაგრამ მარტო ეს როდი იყო საკმაო; ფულის შესაძენათ მებატონე იძულებული შეიქნა საქონლის წარმოებისათვის მოეკიდებია ხელი და თავისი ნაწარმოები გასაყიდათ გამოეტანა. ამგვარათ ის, რაც ამდენხანს მხოლოთ სახლში სახმარ ნივთს წარმოადგენდა, ახლა გასაყიდ საქონლათ გადაიქცა.

აი, ამ გარემოებამ გაუთხარა სამარე ბატონყმობას. საქონლის აღებ-მიცემობამ, ყიდვა-გაყიდვამ დააღუპა იგი.

ფულის შეძენაზე მადა აღძრული მებატონე ვერ კმაყოფილდებოდა მხოლოთ მიწის ნაყოფისა და სხვა საქონლის გაყიდვით; რომ მეტი ფული შეეძინა და უფრო განცხრომა-ფუფუნებით ეცხოვრა, ის იძულებული შეიქნა ბანკებისთვის მიემართა, იმ ბანკებისათვის, სადაც ის აკირავებდა და აწინდრებდა როგორც მიწას ისე გლეხებსაც. ამგვარათ, გლეხების განთავისუფლების დროს აღმოჩნდა, რომ $\frac{2}{3}$ მთელი გლეხ-კაცობისა ბანკებში იყო დაგირავებული და მიწას ხომ აუარებელი ვალები ედო (450 მილიონი მანათი).

ადილი წარმოსადგენია, რომ ფულის პატრონებსა და ბანკებსაც ეშინოდათ უმაღლესი წოდების გაკოტრებისა და უფრო გააძვირეს კრედიტის გაცემა. ეს გარემოება იძულებდა მებატონეს უფრო და უფრო შეევიწროებია გლეხები, უფრო მეტი ფული გადაეხდებინებია მათთვის.

ასეთი სიმკაცრე მებატონისა იყო მიზეზი, რომ ბატონისა და ყმების შუა საუკუნოთ ჩატყდა ხიდა.

მაგრამ მატერიალურად არც უმაღლესი წოდება იყო სასურველ მდგომარეობაში; ისიც თანდათან ვალარბდა; მით უმეტეს წვრილმანი აზნაურობა ისე გაკოტრდა და ვალარბდა, რომ სულს ძლივს იბრუნებდა. პროფესორი კლიუჩევსკი ერთობ ბევრ მასალას იძლევა ამ გარემოების დასამტკიცებლათ.

ამავე დროს საშინლათ მატულობდა პურისა და სხვა ნაწარმოების ფასი და მასთან ერთათ მიწასაც ფასი ემატებოდა. ამიტომ მებატონე ერთობ ძვირათ აფასებდა თავის მიწას. ახლა მისთვის საზარალო შეიქმნა მიწის სანადგლოთ გაცემა და ეს მით უფრო საზარალოა, რაც მიწა უფრო ნაყოფიერი და მომცემიანია. კიდევ ეს იყო მიზეზი, რომ უფრო ნაყოფიერი მიწაზე მეტ ღალას იღებდა მებატონე. აკრეთვე გამოცდილებამ ცხადათ დაანახვა მას, რომ თავისუფალს, ნაქირავები მუშის შრომას უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს, ვიდრე ზარმაცი გლეხის შრომას. ამიტომ სარატოვის, ტამბოვის, ვორონეჟისა და რუსეთის სხვა გუბერნიებში მებატონეები უფრო ხშირათ ნაქირავები მუშებით იუშავენდენ მიწებს.

ამაირათ, ერთი მხრით მებატონის და მკორე მხრით გლეხის ინტერესი აუცილებლათ ახალ წყობილებას მოითხოვდა და აი, სწორეთ ამ დროს იწყება ის მოძრაობა, რომელსაც „დიდ რეფორმათა ეპოქას“ უწოდებენ.

განთავისუფლდა გლეხი. მაგრამ მებატონისათვის ახლია თავისუფალი კაცი უფრო საჭირო იყო. მან კარგათ იცოდა, რომ ნაქირავე კაცს უფრო მეტს გამოიჩნებოდა, ვიდრე მუქთ და ზარმაც გლეხს. ცხადია, გლეხს სოფელში მებატონესთან ახლოს დამაგრება საჭირო იყო თვით ამ მებატონისთვის. ეს კი შეიძლებოდა მაშინ, როცა გლეხს მიწა ექნებოდა. და აი, მას მანიჭეს ეს ცოტადენი მიწაც.

გლეხთა განთავისუფლება არ ეპიტნაებოდა მხოლოთ ზოგიერთ სხვილ მებატონეებს. მაგრამ, როგორც ვიცით, ისინი ამ რეფორმის შემდეგ ოციოდე წლის განმავლობაში (61-83 წ.) დროებით გადდებულ გლეხთა ხანელით ჰფლობდენ გლეხებს, რომელნიც თითქმის ძველებურათ მსახურებდენ მებატონეს (მაშა-კაცი 40 დღე ემსახურებოდა; ხოლო დედაკაცი 30), უხდიდენ ნადელს (9-12 მანეთამდე კაცის თავზე; ეს გადასახადი მხოლოთ მამრობით სქესზე იყო).

ყველაზე მცირე სარგებლობა ამ რეფორმამ მოუტანა იმ წოდებას, რომელსაც უფრო ესაჭიროებოდა იგი: გლეხებმა ყველაზე უფრო მცირეთ ისარგებლეს მითი. რუსეთის იმ ნაწილებში, სადაც უფრო ნაყოფიერი და მომცემი მიწები იყო, იქ ისე ცოტა ნადელი მისცეს გლეხს, რომ მას უსაჭიროესი მოთხოვნილების დაკმაყოფილება კი არ შეეძლო. უნაყოფო და გამოფრტულ მიწაზე კი იმდენ ღალას ახდევანებდენ, რომ მიწის მოსავალი ნახევრათაც არა ჰფარავდა ქირას. ეს მიზეზები იმ თავიდანვე უშლიდენ ხელს გლეხთა მეურნეობას. გლეხი იძულებული იყო თავი დაეწებებია თავისუფალი საკუთარი მეურნეობისთვის და იმავე მებატონეს ან და ფულის პატრონ ხარჩს დადგომოდა მოჯამაგირეთ.

ამ გვარათ 19 თებერვლის რეფორმამ უმეტეს ნაწილათ ჩამოართვა გლეხკაცობას მიწა, ეს უსაჭიროესი საშუალება წარმოებისა და მიწის მუშა, მესაკუთრე გლეხი, ბოვანო, მოქირავე მუშათ გადააქცია. მეორე მხრით საწარმოვე იარაღები (მიწა, მუშა პირუტყვი და სხვა) სულ ერთიანათ გადავიდა ვაჭართა და მოვანშეთა ხელში; ეს უკანასკნელი მოხერხებულათ სარგებლობენ გლეხთა გაქირავებული მდგომარეობით, იგდებენ ხელში მათ სარჩო-საბადებელს და თვით მათ კი ქირით ამუშავენ.

X — 5.

პ ი რ ი მ ზ ე

რო მ ა ნ ი

ნაწილი I.

ბ ა ტ ო ნ ე შ ო ბ ი ს დ რ ო .

VIII.

(გ ა გ ო მ ე ლ ე ბ ა) *

დღეს სოლოლაკის ზედა პირი მთაწმინდისაკენ ჯერ კიდევ დაუსახლებელი და ტყიანი ალავი იყო; აქ შიგა და შიგ ტყეებში პატარა მინდვრები დაფენებოდნენ და როცა ქალაქში ახალი ჩამოსული მოსამსახურე იმერელი ბიჭი გაჩნდებოდა, სანამდის ადგილზე დადებოდა, ამ წვრილ ტყიანში იფარებოდა თავს. ხშირად აქ ერთი გუნდი ჩათუქესან მოქიფეთა დადიოდა და სოლოლაკის დუქანს წყალობდა. ამ დუქანში არ გამოიღეოდა ლამაზი მანდილოსნები, რომელთა გულისთვის ხან-და-ხან უმალდეს წოდებოდა ჯედი ახალგაზრდები და სერთუკოსნები გამოისვინებდნენ „კოკობო ვარდო, არ დამადო“, ან ოხ, მთვარე მთვარე“. სხვაზე მღერით. ამ დუქანს მაშინ სოლოლაკის კანტორას ეძახოდნენ. პეტრიელამ დაპყრობა თუ არა ადგილი სოფელგართან, გაეშურა სოლოლაკის ბაღებისკენ და დაიწყო იმის ტყიან მინდვრებში ბინადრობა. ქალბატონის მოშორებით ის ძალიან დაღონებული და დადარდინებული იყო; გული ვერ უძლებდა, რომ დღეში ერთხელ მაინც არ ჩამოეყო თავის უწინდელი აღის სახლთან, საცა მისი ქალბატონი წინეთ ასე თავისიანათ ექცეოდა და ანებივრებდა სკავრელ კამერლაქიას. როგორც საქათმოში მიჩვეული მელა, პეტრიელა ისე უთვალთვალვდა თავის უწინდელ აღას, იქნება ან მისი მთავრელი ქალბატონი დაენახა, ან შეეტყო, მისი უწინდელი ალა ხომ არსად წააუღაო. რაც დღე გადიოდა, ისე უფრო ემატებოდა პეტრიელა ქალბატონის ნახვის სურვილი. ამ დროს თფილისში ჩამოსულმა მისმა მეზობელმა შეატყობინა ოჯახის უბედურება; პეტრიელამ გადაწყვიტა, ისე ღმერთმა ოჯახში ნუ მიმიყვანოს ცოცხალი, თუ ერთი კიდევ ჩემი კეთილი გულის ქალბატონი არ ენახეო. ამ დროს გარემოებამაც ხელი მოუშარათა; ის შეხვდა დილით მეყასპეს დუქანთან სოფელგარის „პოვარ“ ს, რომელმაც აცნობა, ჩემი ალა ერთი კვირით გაემგზავრა აღბულალს სამხედრო სამხადისის ჩასაბარებლათ. პეტრიელას ამ აზრის გაგონებზე სისხლი აუვარდა თავში და გულმა ბაგა ბუვი დაუწყო. „ძლიერს არ შე-

ღირსა ჩემი ქალბატონის დამარტყახელებოა“; გული გულში პეტრიელამ და გაუდგა სოლოლაკის ბეგისკენ. დილის ათი საათი იქნებოდა, რომ პეტრიელა თავის უწინდელი აღის სახლს მიუახლოვდა; ამ დროს ქალბატონი „კოფტა“ ჩაცმული ფანჯარასთან მომდგარიყო და პეტრიელა რომ დაინახა, უნებურათ გააღიმა და გულზე ხელი მიიღვა, თითქოს ეშინოდა, შინაგანი გულის ფართხალი არ შეენიშნა მის კამერლაქიას, მაშინვე ფანჯარა გააღო და თავი გადმოჰყო.

— პეტრე, სად იყავ? მითხარ, გენაცვალე, ვისთან დგებარ ახლა?.. ჩვენთან ყოფნა არ გაგონდება?

პეტრიელამ თავი ჩაღუნა, სული ყელში მოეხვინა, ერთი ფეხი კიდევ წინ წამოადგა და ხელი კედელს მიაყრდნო, უნდოდა თავი შეემაგრებინა, რომ მტეი გრძნობით იქვე არ გაშოტეილიყო. ის ერთხანს ასე იყო სახლის კედელზე მიყრდნობილი და გარინდული. ქალბატონმა ორივე ნიდაყვი ფანჯრის ჩარჩოზე დააბჯინა და ხმა მდაბლათ ჩაუთარა: „პეტრეჯან, ჩემი ქმარი შინ არ არის. ამაღამ გელი, მაგრამ ისე მოდი, რომ არავინ შეგნიშნოს. ჩემ ქმარს შინაურები დარაგებული ჰყავს; აი, ამ აკოშკას ჩაუკეტავს დეაგდებ“ პეტრიელამ ცეცხლამგზნები თვალვით უტბათ ამოიხედა და ქალბატონს თვალი თვალში გაუყარა, შემდეგ გატრიალდა და ისევ უკან წავიდა. სოფელგარის მეუღლე პეტრიელას გრძნობით საესე თვალვებმა მოჰხიბლა; ის იყო ერთხანს ფანჯრის ჩარჩოზე ნიდაყე დაყრდნობილი და სიამოვნებით უცქეროდა კონტა პეტრიელას, რომელიც ამ დროს თან-და-თან შორდებოდა, სანამდის ვიწრო ქუჩის მოხვეულში სულ არ მიიმალა. პეტრიელა იმ დღეს სოლოლაკის ტყის მიდამოს არ მოცილებოდა. ის გორავდა ერთი ხის ძირას და მოუთმენლათ ელოდა დაღამებას. შუალამის გადასული იყო, როცა პეტრიელა დაბარებულსავით იმავე ფანჯარასთან გაჩნდა. სახლის ქვედა ბაღავრზე ფეხი მოიმავრა, შეხტა ზევით, ჰკრა ხელი ფანჯარას, რომლის კარები თავისუფლათ გაიღო და საჩქაროთ გადაეშვა ქალბატონის საწოლთანში. თეთრი ტილოს ჩარხავებით გადაფენილ და მდიდრულათ მოწყობილ ლოკინზე იწვა ქალბატონი წელზემთ სრულიად ვატიტვლებული, რომლის მკერდზე ორ მორჩილ სახამოროს ოდენ ბურთებს ამოეყოთ თავი და ელოდნენ პეტრიელას ხელვებს. მძინარემ თითქოს იგრძნო მასი შემოსვლა, გაიშმუშნა, ფეხი ფეხს გადაჰკრა და გადაფარებული თეთრი ზეწარი მუხლებამდის ჩაეარდა. პეტრიელა ენების კანკალმა აიტაცა, იმან ძლიერ მოასწრო ფხსაცმლისა, ჩონის და ქამარხანჯლის გახდა, ერთი წამი კიდევ — და ლაქია-ქალბატონი ორივე ინთქვებოდნენ ენებით აზვირთებულ გულისთქმის მორავში.

*) ის. „გველი“ № 7

პეტრიელამ თვე ნახევრის მწუხარება ორი, სამი საათის სიამოვნებაში ჩაახრჩო. ქალბატონი, მეტის ეშხით დამთვრალი, უკუბრუნდა თავის ლოგინზე და მკედარსავით მიეძინა. არ ეძინა მხოლოდ პეტრიას, რომელსაც ახლა აღარც ერთობ მიეზიდებოდა ქალბატონის სააღერსოთ; ის ამ დროს გართული იყო სულ სხვა ფიქრებში. „ღმერთმა ნუ ქნას, ჩემი შეურაცხყოფა ჩემ ალას შევარჩინოვო; თითქმის რვა წელიწადია, მას ვემსახურები და ორმოცი მანეთი ძლივს გამოიმეტა ჩემთვის. შესამათ შეერგოს ჩემი ნაოფლო ჩიო“. — ამბობდა გულში პეტრიელა. ამ დროს გადახედა ქალბატონს, რომელსაც ღრმად ეძინა. ის უცებ წამოვარდა და ჩუმად წაილაპარაკა: ამ მის მეუღლესზე ხომ გული ვისრულე, ახლა რაც ჯამაგირი მან დამაკლო, ისიც უნდა შევისრულოვო. — იმან კარგათ იცოდა, ქალბატონს ფული რომელ კამოდის უჯრაში ჰქონდა შენახული, ან კამოდის გასაღებებს სად ინახავდა. ამ ოთახში პეტრიელა ისე შეჩვეული იყო, რომ თვალდახუჭულიც მიაგნებდა, სად რა იდვა. ის წამოდგა ჩუმად, მონახა კამოდის გასაღებები ერთმანეთზე რგოლით გადაბმული, გამოაღო კამოდი და ღამეში რამდენიც მოხედა ქალბატონის ფული ხელში — ერთიანად დაკუმშა და ჯიბეში ჩაიღვა. ამას გარდა იქვე იყო ვერცხლფული სუფრისა და ჩაის იარაღები, სამი თუ ოთხი თავი, ისიც ამოიღო; საჩქაროდ ტანთ ჩაიცვა, ფანჯრიდან გადაძვრა და გაქრა ღამის სიბნელეში.

ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, რომ ქალბატონმა თვალები გააჭყიტა და განიერ ლოგინზე დაიწყო ხელების ფათური, უნდოდა პეტრიელა გაეღვიძებინა, რომ ვეღარ ნახა, ერთი ამოიხენემა; — „საწყალი, შეშინებული, აღრე გაქცეულაო, კარგი უქნია, თორემ ვინ იცის, რომ დაგვანებოდა, უარესი იქნებოდა, სიფრთხილეს თავი არ სტკივო“. შემდეგ არხენინათ გადაბრუნდა მეორე გვერდზე და კვლავ ლაზათიანი ხერინი გამართა.

წირვის დრო იყო, რომ ქალბატონმა თვალები გაახილა, ცოტა არ იყოს, ტანში დათენთვა იგრძნო, დაიწყო ლოგინზე ტრიალი, ადგომას არ ემუშრებოდა. ემაწვილები, დიდი ხანია, ჩაის სანამელ ოთახში ისხდნენ თავის გამდლით და დედას უძახოდნენ. წამოდგა თუ არა ზეზე, ქალბატონს ელდა ეცა. საცა ფული ჰქონდა შენახული, ის კამოდის უჯრა გამოწეული იყო და ქალბატონის ფული იქვე იყარნ დაქმუქნილი, რისაც წაღება ქურდს ვერ მოეწონო. ამას გარდა ვერცხლის იარაღს ნაკლებობა ეტყობოდა. ქალბატონი მივარდა მაშინვე კამოდს, გადმოაკოთა იქაურობა, ფულები დათვალა და შენიშნა, რომ ოც და ხუთი თუმანი აკლდა. იმას გარდა ქურდს წაეღო

ერთი ვერცხლის საშაქრე, ოქროში დაფერილი, ერთი ოქროს სტაქანი და ექვსი დიდი ვერცხლის კოვზი. სოფდარის მეუღლემ თავში ხელი შემოიკრა, გააბა კვილწიელი, ქურდი შემოსულა ფანჯრიდანო. მაშინვე პოლიციას შეატყობინეს და შეიქნა ერთი მითქმა მოთქმა. მეზობლებმა შეიტყვეს თუ არა ეს ამბავი, მაშინვე მიხედნენ, შინაური ქურდის ბრალიაო; იმერელი, შინ გაზდილი ლაქია რომ აგრე გაათამამა და მერე ჭიტლაყი ჰკრა და გაუშვა, ვგრე უხამდა, მა რა იქნებოდაო. მანდილოსნები საიჭვოთ იქნიდნენ თავს, რადგან სოფდარის გამდლიაგან ჰქონდათ რალცა უწმწური ამბები გაგონილი. ზოგნი ისეთებიც გამოჩნდნენ, რომ ჩუმად ასე გაიძახოდნენ: ვინ იცის, იქნება ქალბატონმა თითონ გაატანა ქმრის ფული და თავისი ვერცხლის იარაღი შეჩვეულ ლაქიას, ახლა კი თითონვე ბრალს ადებს გარეშე ქურდებსო. ამასობაში გავიდა ერთი კვირა და სოფდარის მოვიდა. ცოლი მეტად მწუხარე და სახე ამღვრეული დაუხვდა. სოფდარის მეტად ეწყინა სახლის გაქურდება და რამდენსამე დღეს პოლიციაში სიარული არ გაუწყეტა. ბოლოს, არეცი, სადღაც ყური მოეკრა შინაური ქურდის ამბისათვის, თუ იჭვი შეიტანა თავის გაგებულ ლაქიაზე, რომელიც უცრათ გამქალიყო თფილისიდან; ისიც შესაძლებელია, რომ თითონ პოლიციამ აიღო აზრი პეტრიელას საიჭვო მოქმედებაზე. სოფდარის გულქასმით შეუდგა საქმის გამოკვლევას, არაფერს ზოგავდა, რომ ქვენამხარეში იქაურ ბოქაულთან მიწერ-მოწერა აღედრა და თფილისის პოლიციის შემწეობით პეტრიელას სახლი გაეჩხრიკათ.

გ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)

შ ე ნ ი შ ვ ნ ა .

ლანდჯა-გინებას რომ ჩვენში ბევრი მოტრფიალე ჰყვება — ეს კი ვიცნადით, მარა მხოლოდ ამ ლაფის მოტრფიალეთ რომ გაზეთი გადაიქცეოდა — ეს კი მართალი გითხრათ, ლარ გვეგონა. აი ეს რამდენიმე თუკა „იკრია“ სსკა და-სსკა თავიგულით ამკობს თქვენ უმოძრიალეს მონას და ამკობს რას? — განა ჩვეს ნაწყრს, ჩვენს მოქმედებს? სკკლიადაც არა. მას სეფობათ გადაუქცევიან მხოლოდ ჩვენი შიდადობის ფეს-ქვეშ გათუჯვა და მკტი არაფერი. დიტეკატორობა რომ დანძიდვა-გინებაში მდგომარეობდეს — ევლავ ვინცო ამდენ სხსს უდიდეს დიტეკატორათ იქნესოდა ლსარეუელი. შეიძლება მთ „იკრია“ კიდევაც ასე ლიანრეუდეს, მარა სსსოგადოება,

მადლობა დებოდა, ისე დატყუებული არ არის, რომ მის ფუნქციის სმას ატყუებს და მწერლობის ტანადი მასხარათა სპუნჯოთ განსადას. და რაკი ჩვენ მდინდღველთ ლანდღვა არ ვაღიფსოთ, ისინიც გათამამდენ, წასაღისდენ: „რამა ვაგლდებთ შოკო-ანსლას ასე უფეთით რომ მივსდიოვო“. და „ივერის“ მე 37—38 ნომრებში კიდევ დაბეჭდეს რამი გაჭიანუტრებული ფელეტონი ამ სათაურით: „წერილი ვეალის ხელ-მმღვანელის მიმართ“. ჩვენში ასეა, რომ, როცა ვისმეს წერილს მისწერენ, თავის სასჯელს და გვარს მიაწერენ ბოლოში. ამ „წერილის“ ავტორი კი ჩინკვში დამალულა, ჭურღმულში ჩამკვრალა და იქიდან შითისასვით რადღვ უსწრო სიტუტებს ისვრის. ეს გასლდაკს უსასელა წერილი, ანონიმური ლანდღვა-გინება და ასეთებს უფველი მატროსანი კაცი უმასურთ ტოვებს. თუ მას თავისი ხელობისა არ რტსვენია, თუ მას ოდნავათა არის, ლიტერატურული თუ არა, ადამიანური ზრდილობა მანც მოეპოვება, შინ-ბადეს აისდის და მწერლობის საზარეზზე ისე გაჩეკდება, როგორც ჩვენ ვდბეკართ. აი ჩვენ მაშინ მ.ს შინდანიკ ადამიანთ მივიღებთ, ისეთ ადამიანთ, რომელსაც მხოლოთ სიმართლის გამორკვევა ანტერესებს და ჩვენც მასურს გავტკმთ. მარა, რას ვამბობ, განა ისეთ ვარს, რომელმაც მთელი წლის „კვალში“ ფაღვას მეტი ვეკა ამოიკითხარა და ეს ამოკითხულიც დომსაღვიით არივ-დარია — განა ასეთ ვარს შეუძლია თავის თავისა არ შერტსვენს და საზოგადოებაში გამომჩინდეს? განა მოეთსოვება რამე ზრდილობა ან და სამართლიანობა ისეთს, რომელიც თავის თავზე თითონვე ამბობს: „ბოდიშს ვისდი „ივერის“ მკითხველთ წინაშე, რომ ასე დაუსაბუთებლათ კვიტსავ კარს“—ა! „ქუტდი მთსღვესე დაიჭირესო“—ეს არის და განა ასეთი, უვარტავათ მასურისა, „ლიტერატორი“ მასურის დირსია? ჩვენ ვარტავთ ვიტნობთ მას, ისიც ვიტით თუ რას გაუწიწმატებია ასე და რომ ეს მკითხველმაც იტოდას, საჭიროა მან თითონვე აისადას ნიდაბი და შინდანიკ წამოდგეს.

ბ. ჟ.



„კვალის“ ფოსტა.

ს. შ—ს. ს—ს: თქვენი ლექსი, მერცხალს, არ დაიბეჭდება.
 მწიფს: თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.
 სონში: ნოკაკს, წყალში თევზი ვის დაუფასებია.

თუ არ ენახავთ თქვენ ნაწარმოებს, როგორ გიტყვით დაიბეჭდება თუ არა?

ჭიათურა: ა—რე ხაბ—ანს თქვენი პატარა ამბავი; „ალარა საპირო“ არ დაიბეჭდება.

ბ.ბ. მ. კალანდაძეს, გაჩივლამეს და „თანამედროვეს“. ჩვენ უკვე გამოცხადეთ, რომ „ივერის“ ლანდარობას და „ვარის“ მიეთ-მოეთობას“ თავს არ ეუყადრებთ. ამიტომ არც თქვენ წერილებს ვებეჭდეთ.



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“

გამოვა 1899 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე იმავე პროგრამით და იმავე თანამშრომლებით, როგორც 1898 წელს.

კაზეთი წლიურათ ღირს გაუზავენელათ 7 მანეთათ, ხოლო ვაგზავენით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუზავენელათ 3 მან. 50 კაპ., ვაგზავენით 4 მანეთ. სამი თვით გაუზავენელათ 2 მანეთ., ვაგზავენით 2 მ. 50 კ. თათო ნომერი სამ შაურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავენონ.

ხელისმოწერა მიიღება თფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая ул. д. зем. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტილერიის ქუჩა, № 5, კორპუსის ახლო.

ფოსტის აღრესი: Тифлисъ редакция „КВАЛИ“.



მ.ს.წ.ვ.ლ.ე.ვ.ე.ლ. შალთა საზოგადოების სკოლაში (ნაგორნისა და გულოვიჩის ქუჩების კუთხე, № 12), შეიძლება კიდევ მიღება ყმაწვილებისა, როგორც საზოგადოთ სკოლაში, აგრეთვე ქართულ და სომხურ განყოფილებებში. ფასი სწავლისა ამ უკანასკნელ განყოფილებებში არის თვეში 6 მან.

(3—3)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.